თავდასხმამ აჩვენა კოლექტიური თამაში

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 26 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) _ “კალევი” (ტალინი) 9:2 (4:1).

“კალევი”: სოკოლი, დუბროვსკი, ტაელი, კალისი, სეპი, ე. კოლო, სალახადინოვი, კუსკიული, კ. კოლო, ტამკირვი, როდიონოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, სიჭინავა, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

მსაჯი ნ. პანკინი (მოსკოვი).

ზუსტად ერთი წუთი იყო გასული თამაშის დაწყებიდან და თბილისელებმა პირველ წარმატებას მიაღწიეს. სიჭინავამ შუა მინდორში მიიღო ბურთი, მარცხნივ გადასცა მესხს, რომელიც დრიბლინგით გავიდა მცველთან და კარის წინ ჩააწოდა დაბალი ბურთი. ბარქაიამ ტექნიკურად უნაკლოდ შესრულებული მოჭრილი დარტყმით იგი კარში გაგზავნა _ 1:0.

ეს იყო დასაწყისი, რომელმაც შემდგომში თითქმის ასტრონომიული ციფრის სახე მიიღო და დინამოელებმა ამით საკმაოდ სერიოზული განაცხადი გააკეთეს, რათა წელსაც შეინარჩუნონ გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელის გ. ფედოტოვის სახელობის სპეციალური პრიზი _ ყველაზე მეტი გატანილი ბურთებისათვის.

რა თქმა უნდა, “დინამოს” ფორვარდებს ამ დროს საქმე ჰქონდათ მოწინააღმდეგის სუსტ დაცვასთან, რომლის წევრებსაც ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ კარის ორგანიზებული დაცვის პრინციპებზე. იმ გაძლიერებულ ვარიანტშიც კი, რომელიც “კალევის” მცველებს გააჩნდათ უკან დაწეული კესკიულის (#8) სახით, სტუმრების საჯარიმო მოედანი იოლად გასასვლელ ზონას წარმოადგენდა. განსაკუთრებით სუსტად იბრძოდნენ ისინი დრიბლინგის წინააღმდეგ. რომ არაფერი ვთქვათ მესხზე, რომელიც სრულიად თავისუფლად, სურვილისამებრ დასეირნობდა მათს შორის.

მაგრამ საქმე ამაში არაა. თბილისის “დინამოს” თავდასხმის შარშანდელმა შემადგენლობამ კვლავ აჩვენა კოლექტიური, შეთანხმებული თამაში, აჩვენა კარგი ურთიერთგაგება და თავისი უდიდესი შემტევი ძალა. ძველებური სიძლიერით გამოიყურებოდა მარჯვენა ფრთა: ბარქაია-მელაშვილი, სადაც პარტნიორებს კარგად ესმით ერთმანეთისა, კარგად პოულობენ გზებს იერიშის დასამთავრებლად და უკეთ ახდენენ ხალსაყრელი მომენტების რეალიზაციას. შეტევის ცენტრში კვლავ უნარიანად ირჩევდა ადგილებს საბოლოო დარტყმისათვის კალოევი, რომელიც მეტი ეფექტით იყენებს მესხის მიერ კართან საუცხოოდ ჩაწოდებულ ბურთებს.

აღნიშვნის ღირსია სიჭინავაც. იგი ზომიერად ათავსებდა თავდამსხმელისა და მცველის ფუნქციებს, კარგად ამარაგებდა გადაცემებით მესხს.

მატჩს დროდადრო ცალ კარში თამაშის ხასიათი ჰქონდა, რომლის დროსაც ორივე გუნდის ძირითადი ძალები “კალევის” ნახევარზე მოქმედებდნენ. მე-14 წუთზე მესხი კვლავ გავიდა თავის ფლანგზე, მიაწოდა ცენტრში და კალოევმა თავით გაგზავნა ბურთი ბადეში _ 2:0. მცირე ხნის შემდეგ ბარქაიამ კარგად გამოიყენა კალოევის გადაცემა და მესამე ბურთი გაიტანა, ხოლო 25-ე წუთზე მელაშვილმა სწრაფად ისარგებლა მცველთა შეცდომით _ 4:0.

ტაიმის დამთავრებამდე თბილისელებმა რამდენიმე აუღრესად ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს (ეს ძირითადად იყო მეკარის მიერ უკუგდებული ბურთები), სამაგიეროდ ტალინელებმა სრულიად უხიფათო მდგომარეობა დაამთავრეს იმით, რომ 45-ე წუთზე გარღვევაზე გაიყვანეს სალახადინოვი და გაიტანეს საპასუხო გოლი _ 1:4.

ანგარიშის ზრდა მეორე ტაიმში სავსებით ლოგიკურად შეესაბამებოდა მატჩის მსვლელობას. დინამოელები განუწყვეტლივ უტევდნენ და ბურთებიც გაჰქონდათ (მელაშვილი, კალოევი, კალოევი) _ 7:1, მაგრამ აქ განმეორდა 45-ე წუთის ისტორია და სრულიად მარტო დარჩენილმა კ. კოლომ მეორედ აიძულა თბილისელთა მეკარე გამოეტანა ბურთი კარიდან.

ამ შეცდომათა ერთგვარ კომპენსაციას წარმოადგენდა მატჩის დასასრული. კალოევმა ძელიდან უკუგდებული ბურთი წყნარად შეაგორა ბადეში, ხოლო შემდგომში მელაშვილმა მსაჯის საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე ზუსტად დაამთავრა ცენტრალური თავდამსხმელის მიერ წამოწყებული კომბინაცია _ 9:2.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 28 აპრილი, 1960 წ.